საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარიძეს
მედიატორ ტარიელ სიხარულიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბატონო ეკატერინე,

წარმოგიდგენთ საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირსა და ს.ს. “საქართველოს რკინიგზა-ს” შორის კოლექტიურ დავაზე ანგარიშს დანართის სახით.

პატივისცემით,

ხელმოწერა:

თარიღი

05/08/2019

დავა	საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირსა და ს.ს. "საქართველოს რკინიგზა-ს" შორის კოლექტიური დავა
მედიატორი	ტარიელ სიხარულიძე
წარმომადგენლები:	საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი, ბატონი ვიტალი გორგოძე და ბატონი ილია ლეჟავა
წარმომადგენლები:	უნდა ყოფილიყო ქალბატონი ნინო ჯორბენაძე
მედიაციის დაწყების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	22 ივლისი 2019 წელი
მედიაციის დასრულების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	31 ივლისი 2019 წელი
ნარატიული ანგარიშის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი	ტარიელ სიხარულიძე
ნარატიული ანგარიშის შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	5 აგვისტო, 2019 წელი

1.	***რა აქტივობები განხორციელდა მედიატორის მხრიდან (შეხვედრების თარიღების მითითებით)***

როგორც მოგეხსენებათ, ამა წლის 9 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილით მიმართა საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა ვიტალი გორგოძემ კოლექტიური დავის გადაწყვეტის მიზნით შემათანხმებელი პროცედურის - მედიაციის დაწყების თაობაზე.

აღნიშნულ დავაზე მედიატორად დავინიშნე ამა წლის 22 ივლის. დანიშვნისთანავე დავეკონტაქტე მედიაციის მომთხოვნი პროფკავშირის წარმოადგენელს, ბატონ ილია ლეჟავას და ჩავნიშნეთ მედიაციის მოსამზადებელი შეხვედრა 23 ივლისზე.

23 ივლისს საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის წარმომადგენლებთან წინასწარი სამედიაციო შეხვედრის გამართვამდე, ს.ს. "საქართველოს რკინიგიზის" კანცელარიაში პირადად დავტოვე წერილი ჩემი მედიატორად დანიშვნის შესახებ. აღნიშნული წრილით ვითხოვდი მედიაციის პროცესში ჩართვის მიზნით რკინიგზის ხალმძღვანელობას დაენიშნა უფლებამოსილი პირი (წერილი თან ერთვის).

23 ივლისს შეხვედრა გავმართე პროფკავშირების წარმომადგენლებთან.

24 ივლისს ტელეფონით დავუკავშირდი ს.ს. “საქართველოს რკინიგიზის” კანცელარიას, სადაც შემატყობინეს, რომ ჩემი წერილი გატარდა ნომრით 75095 და დაეწერა მთავარ კონსულტანტს, ბატონ სიმონ ფირცხალაიშვილს.

25 ივლისს დავუკავშირდი ბატონ სიმონს. აღმოჩნდა, რომ რკინიგზის მენეჯმენტმა წერილი დააწერა შვებულებაში გასულ თანამშრომელს, რაც ბატონ სიმონთან სატელეფონო საუბრიდან გავიგე. შვებულებაში მყოფმა ბატონმა სიმონმა არ იცოდა არც მედიაციის შესახებ მოთხოვნისა და არც მედიატორად ჩემი დანიშვნის შესახებ. ჩვენი სატელეფონო საუბრის საფუძველზე ის დაუკავშირდა რკინიგზის ხელმძღვანელებას და 25 ივლისს საღამოს 6 საათზე ტელეფონით შემატყობინა, რომ ჩემთან აღნიშნული მედიაციის ფარგლებში შედგებოდა შეხვედრა 26 ივლისს 14:00 საათზე. მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მაცნობა, რომ ბატონ კახა გულადაშვილს, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს უნდა უზრუნველეყო ჩემთვის საშვის დაშვება, ხოლო შეხვედრა უნდა შემდგარიყო ქალბატონ ნინო ჯორბენაძესთან, რკინიგზის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსთან.

25 ივლისს საღამოს მე გავემგზავრე ქალაქიდან რაიონში, ხოლო 26 ივლისს დილით გამოვემგზარე თბილისში ქალბატონ ნინოსთან შესახვედრად. შუაგზაში მყოფს დამირეკეს რკინიგზიდან. აღნიშნული სატელეფონო ზარი განახორციელა იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის მოადგილემ და მაცნობა, რომ შეხვედრა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო არ შედგებოდა. მე განვუმარტე, რომ ვიმყოფებოდი გზაში და ჩამოვდიოდი თბილისში ქალბატონ ნინოსთან მედიაციის ფარგლებში დანიშნული შეხვედრის გამო და მზად ვიყავი გავჩერებულვიყავი ქალაქში გვიანობამდე. პასუხად მივიღე, რომ აზრი არ ექნებოდა ლოდინს და მოგვიანებით შემატყობინებდნენ შეხვედრის გადატანის დროს. ოდნავ მოგვიანებით იგივე პირთან სატელეფონო საუბრის შემდეგ შევთანახმდით, რომ გადადებული შეხვედრა შედგებოდა ორშაბათს 29 ივლისს.

29 ივლისს დილის 9:30 დავურეკე იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის მოადგილეს და ვიკითხე, თუ როდის დაინიშნებოდა შეხვედრა ქალბატონ ნინოსთან, რაზეც მან მიპასუხა, რომ გაიგებდა და მოგვიანებით შემატყობინებდა. იმავე დღეს 10:50 მივიღე მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომლითაც შემატყობინეს, რომ ქალბატონ ნინოს ჩანიშნული აქვს ბევრი შეხვედრა, თან შენობის გარეთ და ჩემთან შეხვედრა ვერ მოხერხდებოდა და, რომ დამირეკავდნენ, რაზეც სმს-ის სახით ვუპასუხე, რომ ველოდებოდი მათ ზარს. 29 ივლისი შემდეგ ს.ს. “საქართველოს რკინიგზა” კავშირზე არ გამოსულა.

იქიდან გამომდინარე, რომ ს.ს. “საქართველოს რკინიგზის” ხელმძღვანელობამ ჯერ:

- ჩემი დანიშვნის შესახებ წერილი დააწერეს შვებულებაში მყოფ თანამშრომელს,
- შემდგომ წარმოადგენლებმა გადადეს შეხვედრა ორჯერ
- აღარ გამოსულან ჩემთან კონტაქტზე მედიაციაში ჩართვის მიზნით მედიაციისთვის კანონით განსაზღვრულ ვადაში,

აღნიშნული ვადის და ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ჩავთვალე მედიაცია შეწყვეტილად, რის შესახებ 31 ივლისს წერილობით ვაცნობე ორივე მხარეს ფოსტით. (წერილი და გაგზავნის ქვითრები თან ერთვის).

2.	***არსებული სიტუაცია***
მედიაცია შეწყვეტილია მხარის გამოუცხადებლობისა და მედიაციისთვის კანონით განკუთვნილი ვადის ამოწურვის გამო.	
4.	***რა შეთანხმებას მიაღწიეს მხარეებმა მედიაციის პროცესში***

5.	***რა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს მხარეებმა მედიაციის პროცესში***
6.	***რამდენად ინფორმირებულები იყო სამინისტრო მედიაციის პროცესისადმი***
იყო ინფორმირებული სრულად	

_____

მედიატორის ხელმოწერა

ასლი
ორიგინალი ჩაბარდა ტარიელ სიხარულიძეს
კანცელარიაში სამუშაო 23 აგვ., 2019
ნომერი ტარიელისგან მიიღო 75015, ელექტრონულ
ფოსტაზე 26 სექტემბერ 2019 ფაქტიურად კანცელარიაში

ს.ს. "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ
დირექტორს ბატონ დ. ფერაძეს

მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი #15

როგორც მოგეხსენებათ, ამა წლის 9 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის პრეზიდენტმა ბატონმა ვიტალი გიორგაძემ. თავის მიმართვაში ბატონი ვიტალი გორგოძე ითხოვს სს "საქართველოს რკინიგზასთან" კოლექტიური დავის დაწყებისა და მისი გადაწყვეტის მიზნით შემათანხმებელი პროცედურის მედიაციის დაწყებისათვის მედიატორის დანიშვნას.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით აღნიშნული კოლექტიური დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის მიზნით დავინიშნე მედიატორად.

მოგმართავთ თხოვნით, სს "საქართველოს რკინიგზის" მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიზნით დანიშნოთ უფლებამოსილი პირი. თქვენ მიერ მედიაციის პროცესში მონაწილეობისთვის დანიშნულ პირს ვთხოვ, დანიშნისთანავე დამიკავშირდეს ქვემოთ მოცემული ტელეფონისა ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით:
599576024; ts@iliauni.edu.ge tariel.t.s@gamil.com

მედიატორი
ტარიელ სიხარულიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;

ასოცირებული ექსპერტი
ESSEC-IRENE, Paris Singapour;

ასოცირებული ექსპერტი
Project on International Negotiation Training.

Scanned with CamScanner

გიგაგუნ ფილია

ს.ს. "საქართველოს რკინიგზის" გენერალურ დირექტორს
ბატონ დავით ფერაძეს

საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის
პრეზიდენტს ბატონ ვიტალი გორგოძეს

ბატონებო,

როგორც მოგეხსენებათ, ამა წლის 9 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილით მიმართა საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის თავმჯდომარემ ბატონმა ვიტალი გორგოძემ კოლექტიური დავის გადაწყვეტის მიზნით შემათანხმებელი პროცედურის - მედიაციის დაწყების თაობაზე.

ასევე მოგეხსნებათ, რომ აღნიშნულ დავაზე მედიატორად ვიყავი დანიშნული მე, ტარიელ სიხარულიძე, რის შესახებ ეცნობა ორივე მხარეს.

მოგახსენებთ, რომ მედიაციისთვის კანონით განკუთვნილ ვადაში არ შედგა დაგეგმილი შეხვედრა დავის ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლი მედიაციას შეწყვეტილად, რის თაობაზეც გაცნობებთ წინამდებარე წერილით.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს გექნებათ მედიაციაში ჩართვის სურვილი, გთხოვთ, ხელახლა მიმართოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნით.

პატივისცემით,

ტარიელ სიხარულიძე

ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
ტ ე ლ: 599576024
ts@iliauni.edu.ge

Scanned with CamScanner

003065469

(Collection Address)

Name: [illegible]

Address: [illegible]

01005004032

[illegible] 162

City:

Province/Region:

Contact Name:

Postal / Zip Code:

599576024

Country:

Tel. No.:

Name: [illegible]

Address: [illegible]

City:

Province/Region:

Contact Name:

Postal / Zip Code:

Country:

Tel. No.:

General Description

[illegible]

Number of items	Weight		Dimensions		
	Kilos	Gram	Length	Width	Height

მიმღები

პირადი №

ოფისი

ხელმოწერა

201

Date / / (Day/Month/Year) Date 31/07/19 Time :

შ.პ.ს. "ხაბ"

ID 204885810

Scanned with CamScanner

003065468

From (Collection Address)

Name: [illegible]

Address: 01005004032

1. [illegible] 102

City: [illegible]

Province/Region:

Contact Name: 599576024

Postal / Zip Code:

Country:

Tel. No.:

Name: LL "[illegible]"

Address: [illegible], [illegible] N15

City:

Province/Region:

Contact Name:

Postal / Zip Code:

Country:

Tel. No.:

General Description	Number of items	Weight		Dimensions		
		Kilos	Gram	Length	Width	Height
[illegible]						

მიმღებები

მიმოწერა №

ოფოსიდგომა

ბიუროსოფისებრივ ტარიფები 201 ₹

Date: / / (Day/Month/Year) Date 31107119 Time :

შ.პ.ს. "[illegible]"

[illegible] 204885810

Scanned with CamScanner